საქართველოს სპორტსმენთა ნადავლი

მდგომარეობა 28 ივლისისთვის

ოქროს 28 მედალი (ტანვარჯიში — 6, ბაიდარა და კანოე — 4, თავისუფალი ჭიდაობა, მშვილდოსნობა, ძალოსნობა — 3-3, ცურვა, მძლეოსნობა, კლასიკური ჭიდაობა, სამბო — 2-2, ველოსპორტი — 1).

ვერცხლის 13 მედალი (ტანვარჯიში — 7, კლასიკური ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა — 2-2, სასტენდო სროლა, მძლეოსნობა — 1-1).

ბრინჯაოს 31 მედალი (აკადემიური ნიჩბოსნობა — 9, ბაიდარა და კანოე, მშვილდოსნობა, სამბო — 4-4, ტანვარჯიში — 3, თავისუფალი ჭიდაობა, ძალოსნობა — 2-2, მძლეოსნობა, კლასიკური ჭიდაობა, ცურვა — 1-1).

სურათზე: თ. ლეკვეიშვილის წარმატებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ჩეხოსლოვაკიელი სპორტული ჟურნალისტები გამარჯვებულ ქართველ გოგონას ინტერვიუსართმევენ.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

СПАРТАКИАДА V НАРОДОВ СССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 151 (4401)
1971 წ. 29 ივლისი, ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპარტაკიადის ტაბლო

მდგომარეობა 28 ივლისისთვის

რსფსრ — 2051,5
მოსკოვი — 1820
უკრაინა — 1665,5
ბელორუსია — 924,5
ლენინგრადი — 882
საქართველო — 784
ყაზახეთი — 418
ლატვია — 400
ესტონეთი — 301
ლიტვა — 270,5
აზერბაიჯანი — 200
მოლდავეთი — 178
უზბეკეთი — 176,5
სომხეთი — 144
ყირგიზეთი — 139,5
ტაჯიკეთი — 48,5
თურქმენეთი — 22,5

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები ზ. ჯაფარიძე, ჯ. ენუქიძე, ა. გოგელია და თ. გაჩეჩილაძე მოსკოვიდან გვატყობინებენ:

ქართული ცეკვასავით ნარნარი

— იმედია ასეთ წარმატებას კიდევ ბევრჯერ მოგილოცავთ. ამის საწინდარია შენი შრომისმოყვარეობა და ნიჭი, — უთხრა ცურვის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ზ. ფირსოვმა სახელოვან ქართველ მოცურავეს თინათინ ლეკვეიშვილს, როცა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვებისთვის სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებს გადასცემდა.

დიახ, ლუჟნიკის საცურაო აუზზე კიდევ ერთხელ აფრიალდა ჩვენი რესპუბლიკის ალამი, კიდევ ერთხელ გაისმა საქართველოს სსრ ჰიმნი. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სახეგაბრწყინებული იდგა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი თ. ლეკვეიშვილი.

... როცა თინათინი სარბიელზე გამოდის, ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდება. საბჭოთა კავშირის მოცურავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ინიასევსკიმ თქვა:

— თინათინი გვაცვიფრებს ძალდაუტანებელი, ლამაზი სტილით. იგი ცისფერ ბილიკზე ქართველი მოცეკვავე ქალივით რაღაც შინაგანს, განუმეორებელს ავლენს, რითაც უსოდენ მიმზიდველი, თუ გნებავთ, ნარნარიც არის. რაც მთავარია, ყოველივე ეს სპორტულ მიზანსწრაფვაშია ჩაქსოვილი.

200 მეტრზე გულაღმა ცურვაში თინათინი ფინალში გავიდა პირველი შედეგით — 2.31,8. როგორც მოსალოდნელი იყო, მან ეს მაჩვენებელი უძლიერესთა გაცურვაში შესამჩნევად გააუმჯობესა, თუმცა თავისივე საკავშირო რეკორდი ხელუხლებელი დატოვა. ლეკვეიშვილის შედეგი (2.28,7) სპარტაკიადების რეკორდია.

ყაზახეთის წარმომადგენელი ი. გოლოვანოვა 150 მეტრზე ამაოდ ცდილობდა ლიდერს წამოსწეოდა: ჩვენი სპორტსმენის უპირატესობა აშკარა იყო. გოლოვანოვამ 2.29,3 აჩვენა. ტ. ასტაშკინა (რსფსრ) მესამე იყო — 2.31,5.

ამ დღეს მოეწყო კიდევ რამდენიმე ფინალი, სადაც ჩვენები არ გამოდიოდნენ.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვეს მოსკოველმა ქალებმა: პირველი იყო ი. ტერეშინა — 1.02,4. II ადგილზეა ნ. ბისტროვა — 1.03,1, III — ნ. მატიუხინა — 1.03,1.

მოსკოველი სპორტსმენები პირველობდნენ ვაჟთა შორისაც. ვ. ბურემ საკავშირო რეკორდით გაიმარჯვა — 52,9. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ი. გრივენნიკოვი (53,7) და ლ. ილიჩოვი (54,3).

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ქალთა შორის სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მოსკოველმა ნ. პეტროვამ მოიპოვა — 5.22,1. უკრაინელი ლ. მილენინა მეორე იყო — 5.26,3, ლიტველი ვ. უჟკურაიტე კი მესამე — 5.26,7. ვაჟთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. დუნაევი (მოსკოვი) — 4.45,7, 2. მ. სუხარევი (რსფსრ) — 4.48,5, 3. ი. ნიკოლაევი (მოსკოვი) — 4.50,4.

ვაჟებიდან 200 მეტრზე გულაღმა ცურვის ფინალში პირველი შედეგითაა გასული ბათუმელი ვ. კრასკო — 2.15,4. თბილისელი ი. ლისეცკი ფინალში მოხვდა მეექვსე დროით 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.20,5. ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში ჩვენი გუნდის წევრები ა. იოაკიმიდი, ი. კირდიანოვი, ს. ზემლიანუხინი და გ. შიხიკიანი ფინალს მიღმა დარჩნენ. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ქალთა გუნდიდან ფინალში გავიდა ქუთაისელი ი. ზოტოვა — 2.40,5 (მერვე შედეგი).

სამი დღის ასპარეზობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში კვლავ მოსკოველები ლიდერობენ — 249 ქულა. შემდეგ მოდიან: რსფსრ — 119, უკრაინა — 74, საქართველო — 45, ლენინგრადი — 36, ყაზახეთი — 34, ლატვია — 19, ლიტვა — 19.

ლვოვში ბიჭებს შორის 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში VII ადგილზეა ნ. ბაშარული — 2.24,4.

კიევსა და ლვოვში

სადაც სპარტაკიადის პროგრამით მოზარდები ასპარეზობენ, ჭაბუკებისა და გოგონების რამდენიმე საკავშირო რეკორდი გაუმჯობესდა.

კიევის „დინამოს" აუზში გოგონები და ქალიშვილები გამოდიან. აქ თავი ისახელა 13 წლის ხარკოველმა ნ. პოპოვამ, რომელმაც 400 მ თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 25,1 წამში გაცურა, შემდეგ მანვე 800 მეტრზე ცურვაშიც იმარჯვა (9.58,4), ბოლოს კი 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ასპარეზობაში — 2.36,1.

ლვოვში (ბიჭები და ჭაბუკები) პირველი რეკორდი დაამყარა ხარკოველმა ი. ვერეიტინოვმა: 800 მ თავისუფალი სტილით — 9.13,7. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში რეკორდსმენი გახდა ლენინგრადელი ა. სმირნოვი — 5.00,7. 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრება რეკორდით მოიგო 16 წლის ს. გარანინმა (უზბეკეთი) — 17.08,8. ეს მოსკოველი ს. ბელიც-გეიმანის „ბებერ" რეკორდს 6,3 წამით სჯობს.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

ფარიკაობა. რაპირისტ ქალთა პირადი ტურნირი.

1. ე. ბელოვა — 6 გამარჯვება. 2. ლ. რუსაკი (ბელორუსია) — 5, 3. ა. ზაბელინა — 4, 4. ნ. ივანოვა (მოსკოვი) — 4, 5. ნ. ბუტორინა — 3, 6. გ. ნიკონოვა — 3, 7. ო. კონტიაკოვა (რსფსრ) — 2, 8. რ. ჩერნიკოვა (სომხეთი) — 1.

• ნებისმიერი მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე სროლა „გაქცეულ ტახზე".

1. ი. ჟელეზნიაკი (უკრაინა) — 569 ქულა (სსრ კავშირის რეკორდი), 2. ა. ბუცისი (ლატვია) — 561, 3. ვ. პოსტოიანოვი (რსფსრ) — 559, 4. ა. აგარონოვი (აზერბაიჯანი) — 558, 5. მ. ვერდიანი (სომხეთი) — 556, 6. ა. კედიაროვი (ბელორუსია) — 556, 7. ი. ნესტეროვი (ლენინგრადი) — 555, 8. ვ. ბელტიუკოვი (მოსკოვი) — 555.

ჩემპიონს ბრინჯაო დარჩა

სპარტაკიადის ნახევარფინალური ბრძოლების პირველ საღამოს ცნობილი გახდა მოკრივეთა ტურნირის 12 ბრინჯაოს პრიზიორის ვინაობა. ორი ყველაზე მოულოდნელი ამბავი ერთმანეთს მიჰყვა: ქვეყნის ჩემპიონმა ნ. ხრომოვმა, რომელიც დამაჯერებლად უგებდა ყაზახეთის წარმომადგენელ ო. გუროვს, მეორე რაუნდის ბოლო წამზე მეტოქის ნიკაპზე მიარტყა თავი და... წარბი გაიპო. უზბეკეთის წარმომადგენელი ბრინჯაოს დასჯერდა, რაშიც თავად არის დამნაშავე.

სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, ყაზახეთის წარმომადგენელი ა. აბდრახმანოვი უკვე ორი წელია არ დამარცხებულა სსრ კავშირში გამართულ შეჯიბრებებში. ამჯერად მოსკოველ ა. ხოხლოვთან შეხვედრაში მან ერთ-ერთი დარტყმით ნოკდაუნში ჩააგდო მეტოქე. შემდეგ კი მოულოდნელი რამ მოხდა: აბდრახმანოვი გაიხსნა, ორი პირდაპირი დარტყმა მიიღო და... საქმეც მოთავდა. ჩემპიონი მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ქ. კუკუმოვმა (ყაზახეთი) და მოსკოველმა ა. ანტონოვმა (48 კგ-მდე) ბრძოლის მანერით კმაყოფილი დატოვეს არა მარტო მაყურებლები, არამედ არბიტრიც — ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ენგიბარიანი.

— ძალიან ლამაზად იბრძოდნენ, — თქვა მან. — კუკუმოვი ოდნავ უფრო გამოცდილია და ამან იჩინა კიდეც თავი.

კუკუმოვის მეტოქე იქნება გამოცდილი მოკრივე ა. სემიონოვი, რომელმაც დაამარცხა ახალგაზრდა ოსტატი ს. დურიანი (სომხეთი).

მოკრივეთა ტურნირმა ლუჟნიკში გადაინაცვლა. ამან საზეიმო განწყობილება და სანახაობრივი სილამაზე შემატა შეჯიბრებას.

ვ. კუკუშკინი.
(საქტაგის კორ.).

სადღაა ჩვენი კოზირი?

ქართველი მუშკეტერები მუდამ გამოირჩეოდნენ ტემპერამენტიანი, ვაჟკაცური ფარიკაობით. ბრძოლის ასეთ მანერას ჩვენი სპორტსმენებისთვის გამარჯვება მოჰქონდა გაცილებით ძლიერ მეტოქეებთანაც. სპარტაკიადის სარბიელზე კი აშკარად შეიმჩნევა მათი ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა. დიახ, თუ ადრე რაინდული შემართება ჩვენი კოზირი იყო, ახლა პირიქით ხდება: ჩვენები ბრძოლებს უთმობენ არა მარტო ძლიერ, არამედ გაცილებით მათზე სუსტ მეტოქეებსაც. ასე წააგეს, მაგალითად, ესპადრონისტებმა უკრაინის გამოუცდელ ახალგაზრდულ ნაკრებთან. უფრო მეტიც: ისინი დამარცხდნენ ლენინგრადელთა გუნდთანაც, რომლის შემადგენლობაშიც ერთადერთი ე. ვინოკუროვია ძლიერი, სხვებმა კი, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვებს, ხეირიანად არც კი იციან ფარიკაობა.

რატომღაც დაიმედებული ვიყავით, რომ ჩვენი დაშნით მოფარიკავეები მაინც თავგამოდებით იბრძოლებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. წინასწარ შეხვედრებშივე ფარ-ხმალი დაყარა სამმა სპორტსმენმა (გ. ზურაბიშვილმა, ი. ვოხროვმა და, ნუ გაგიკვირდებათ, გ. კოსტავამაც).

შემდეგ საფეხურზე ვერც ი. სიხარულიძემ გამოიჩინა თავი — ხუთივე შეხვედრა წააგო. ქების ღირსია მხოლოდ შ. სულამანიძე, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო: იბრძოდა მიზანსწრაფულად, მონდომებით, და მეოთხედფინალშიც გავიდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი შეხვედრა მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონთან, კიეველ გ. კრისთან. შოთამ არავითარი შანსი არ დაუტოვა ჩემპიონს და იგი დიდი ანგარიშით დაამარცხა — 5:2. მერე სულამანიძემ გაიმარჯვა აზერბაიჯანელ ს. ნადიევთან. ამ ორ შეხვედრას ჩვენმა მოფარიკავემ დიდი ენერგია შეალია, ამიტომ მის შემდგომ გამოსვლებს აზარტი და ცეცხლი აკლდა. სულამანიძემ მეოთხედფინალში შეწყვიტა ბრძოლა, რაშიც ალბათ გარკვეული როლი მოუწესრიგებელმა ელექტროიარაღმაც შეასრულა.

მიმდინარეობს V სპარტაკიადა

რიცხობრივი უპირატესობა დიდი რამაა

რსფსრ-ს გუნდთან თამაში საქართველოს წყალბურთელებმა იღბლიანად დაიწყეს: გ. სანაძემ პირველივე წამებზე საკმაოდ შორიდან დარტყმით გახსნა ანგარიში. არ გასულა ცოტა ხანი და რუსეთის გუნდმა კარგად გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა — ბ. უხოვმა ანგარიში გაათანაბრა.

მეორე პერიოდის დასაწყისშივე ჩვენს სპორტსმენებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის ნაღდი შესაძლებლობა — 4-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ ვ. ისელიძემ ძელს მოახვედრა ბურთი. იგი იქვე ხელთ იგდეს რუსეთის გუნდის წევრებმა და რამდენიმე წამში ანგარიში გახდა 2:1 მათს სასარგებლოდ (გ. იაკოვლევი).

მესამე პერიოდში უხოვის თრი ტყორცნა მიზანს მოხვდა და ჩვენი მეტოქეები თვალსაჩინოდ დაწინაურდნენ — 4:1.

დასკვნითს პერიოდში ისელიძემ ჯერ 4-მეტრიანი საჯარიმოთი, ხოლო შემდეგ საკმაოდ ლამაზი ბურთი გაიტანა და ანგარიში გახდა 4:3, მაგრამ სულ მალე, ისევ იაკოვლევის ტყორცნის შემდეგ, რსფსრ-ს წყალბურთელები უფრო დაწინაურდნენ.

დარჩენილ დროში ო. მიმინოშვილმა ერთი საპასუხო გოლი გაიტანა. მატჩი რსფსრ-ს გუნდმა მოიგო — 5:4.

უნდა აღინიშნოს, რომ 5 გატანილი ბურთიდან 4 რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების შედეგი იყო: მსაჯი აუზიდან აძევებდა ხან ისელიძეს, ხან მიმინოშვილს.

ამ დღეს დამარცხდა წინა სპარტაკიადების უცვლელი ჩემპიონი — მოსკოვის ნაკრებიც, რომელიც უკრაინის გუნდს შეხვდა. მეოთხე პერიოდისთვის ანგარიში ფრე იყო — 3:3. მაგრამ სწორედ ბოლო ხუთ წუთში უკრაინელებმა 2 ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს კიდეც — 5:3.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ყაზახეთისა და ლენინგრადის წყალბურთელთა შეხვედრა. სამი პერიოდის შემდეგ ანგარიში იყო 3:3. შემდეგ დაწინაურდნენ ლენინგრადელები, მაგრამ ბოლო წუთებში ყაზახეთის გუნდმა შეძლო ქულის გადარჩენა — 4:4.

ტრადიცია ალბათ დაირღვევა

წყალბურთელთა შეჯიბრების მესამე დღეს მოხდა ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია: მოსკოვის გუნდმა სატურნირო ცხრილში ჩაიწერა პირველი ნული და ამით, ფაქტიურად, გზა გაუხსნა უკრაინელებს ოქროს მედლებისკენ. საქმე ის გახლავთ, რომ ლიდერს ჩასატარებელი დარჩა ორი შეხვედრა გუნდებთან, რომლებსაც პირველ ექვსეულში ბოლო ადგილები უკავიათ. ძნელი საფიქრებელია, რომ უკრაინელებმა, მას შემდეგ, რაც ჩამოიცილეს წინა სპარტაკიადების უცვლელი ჩემპიონი, წააგონ ყაზახეთის ან ლენინგრადის გუნდებთან. ამავე დროს ნუ დაგავიწყდებათ, რომ ლიდერს დარჩენილ მატჩში 1 ქულის დაკარგვის უფლებაც აქვს. არა, როგორც ჩანს, V სპარტაკიადა დაარღვევს ტრადიციას და უმაღლეს წოდებას უკრაინელებს მიაკუთვნებს.

საქართველოს წყალბურთელებმა პრაქტიკულად დაკარგეს ბრინჯაოს მოპოვების შანსი, ვინაიდან იმდენი ქულაც რომ დააგროვონ, რამდენიც რსფსრ-ს სპორტსმენებს აქვთ, მაინც მათზე დაბლა იქნებიან ურთიერთშეხვედრაში მარცხის გამო. ჩვენებს სათამაშო დარჩათ ყაზახეთისა და მოსკოვის წყალბურთელებთან.

სატურნირო ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
უკრაინა	3	0	0	17—9	6
მოსკოვი	2	0	1	15—9	4
რსფსრ	2	0	1	13—15	4
საქართველო	1	0	2	13—14	2
ლენინგრადი	0	1	2	10—15	1
ყაზახეთი	0	1	2	10—16	1

დღეს

სასპარტაკიადო შეჯიბრებების ბოლო დღეა.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართება მოკრივეთა ფინალური ბრძოლები.

ცსკა-ს სპორტის სასახლეში გაირკვევა სპარტაკიადის ჩემპიონთა ვინაობა ფრენბურთში.

საწყლოსნო სპორტის სასახლეში დამთავრდება წყალბურთელთა ტურნირი.

„ჩაიკის“ საცურაო აუზში ოქროს მედლებს გაითამაშებენ წყალში ტრამპლინიდან მხტომელი ქალები და ვაჟები კოშკიდან ხტომაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საცურაო აუზში გათამაშდება მედლების 7 კომპლექტი (ქალები — 200 მ ბრასით, 200 მ ბატერფლაით, 400 მ თავისუფალი სტილით, ვაჟები — 200 მ ბრასით, 200 მ ბატერფლაით, 1500 მ თავისუფალი სტილით, ესტაფეტა 4X100 თავისუფალი სტილით).

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სპორტულ სარბიელზე ხელბურთელები ბოლო მატჩებს ჩაატარებენ.

„დინამოს“ სასროლეთზე ალამს დაუშვებენ ტყვიის სროლაში მოასპარეზენი.

„კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში გაიმართება მოფარიკავეთა ტურნირის ბოლო სახეობა — დაშნით მებრძოლთა გუნდური ასპარეზობა.

ხვალ

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის საზეიმო დახურვა.

შხეიროდ

როგორც იცით, ჩვენი ფრენბურთელები იმ ჯგუფებში არიან, სადაც VII-XII ადგილების მფლობელთა ვინაობა უნდა გაირკვეს. მორიგ ტურში ჩვენი ქალებიცა და ვაჟებიც დამარცხდნენ: ქალებმა ბელორუსიის კოლექტივთან წააგეს — 1:3 (7:15, 13:15, 15:8, 7:15), ვაჟებმა კი ლატვიის წარმომადგენლებთან — 1:3 (7:5, 15:10, 9:15, 8:15).

სპორტულ ასპარეზობაში წაგება არავის გაუკვირდება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი ფრენბურთელები სათანადოდ ვერ მოემზადნენ ისეთი დიდი ღონისძიებისთვის, როგორიც სპარტაკიადაა. თამაშის კლასით მეტოქეები მათ როდი სჯობდნენ, მაგრამ ბელორუსიელებმაც და ლატვიელებმაც უფრო თანაბრად ითამაშეს, უფრო ნაკლებად უშვებდნენ შეცდომებს, რაც მთავარია, ურთიერთმოქმედებაში მეტ სიზუსტეს იცავდნენ.

ჩვენს ქალებს მოედანზე სიცოცხლის ნიში არ ეტყობოდათ. შეტევის დროსაც კი რატომღაც ერიდებოდნენ ზედმეტ მოძრაობას.

ფრენბურთის თანამედროვე მოთხოვნათა სიმაღლეზე არც ჩვენი ვაჟთა გუნდი დგას. მისგანაც ძალიან საეჭვოა ჩასათვლელი ქულების მოპოვება.

ოთხი პოტენციური ლიდერი

გადავხედოთ ფრენბურთელ ვაჟთა მთავარი ფინალური ტურნირის ცხრილს: სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულისთვის ერთბაშად ოთხი კოლექტივი იბრძვის და ყველას დაახლოებით თანაბარი შანსი აქვს. უძლიერესთა ექვსეულში ბოლო ადგილებზე ლენინგრადისა და ესტონეთის გუნდები არიან. თუ მათ პირობითად ფინალისტთა შორის ყველაზე სუსტ კოლექტივებად მივიჩნევთ, ყველაზე კარგი პერსპექტივები რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან ბოლო ორ მატჩში ისინი სწორედ ლენინგრადისა და ესტონეთის გუნდებს ხვდებიან.

ისე კი არასდროს, არც ერთ სასპარტაკიადო ტურნირში არ ყოფილა ასეთი მძაფრი ბრძოლა. ჩანს, ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა.

ქალებთან მდგომარეობა უფრო სტაბილურია, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლიდერს — მოსკოვის კოლექტივს — ორი პასუხსაგები ბრძოლა აქვს ჩასატარებელი (უკრაინისა და უზბეკეთის სპორტსმენებთან).

გთავაზობთ III ტურის ტექნიკურ შედეგებს: ვაჟები. I-VI ადგილები. რსფსრ — მოსკოვი 3:1, ლენინგრადი — ესტონეთი 3:2, ყაზახეთი — უკრაინა 3:0. VII-XII ადგილები. ბელორუსია — აზერბაიჯანი 3:1, უზბეკეთი — სომხეთი 3:0.

ქალები. I-VI ადგილები. უზბეკეთი — უკრაინა 3:2, მოსკოვი — აზერბაიჯანი 3:0, ლენინგრადი — რსფსრ 3:1. VII-XII ადგილები. ლატვია — ყირგიზეთი 3:1, ლიტვა — ყაზახეთი 3:2.

სატურნირო ცხრილები

ვაჟები

I-VI ადგილები

	მ.	წ.	ბ.	ქ.
რსფსრ	2	1	8—4	2
მოსკოვი	2	1	7—4	2
ყაზახეთი	2	1	6—4	2
უკრაინა	2	1	6—6	2
ლენინგრადი	1	2	5—8	1
ესტონეთი	0	3	3—9	0

VII-XII ადგილები

	მ.	წ.	ბ.	ქ.
უზბეკეთი	3	0	9—3	3
ლატვია	3	0	9—3	3
საქართველო	1	2	5—6	1
აზერბაიჯანი	1	2	6—7	1
ბელორუსია	1	2	5—7	1
სომხეთი	0	3	1—9	0

ქალები

I-VI ადგილები

	მ.	წ.	ბ.	ქ.
მოსკოვი	3	0	9—4	3
ლენინგრადი	2	1	8—5	2
რსფსრ	1	2	6—7	1
უკრაინა	1	2	6—7	1
უზბეკეთი	1	2	6—8	1
აზერბაიჯანი	1	2	4—8	1

VII-XII ადგილები

	მ.	წ.	ბ.	ქ.
ბელორუსია	2	1	8—5	2
ყაზახეთი	2	1	8—6	2
ლატვია	2	1	7—6	2
ლიტვა	2	1	6—6	2
საქართველო	1	2	6—6	1
ყირგიზეთი	0	3	3—9	0

მოიგო ნონამ

გეტებორგი, 28 ივლისი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 7 ტური გათამაშდა. 5,5 ქულით ლიდერობს შვედი დიდოსტატი, 20 წლის უ. ანდერსონი, VII ტურში მან მოუგო თანამემამულე კინმარკს, მსოფლიო ჩემპიონმა ბ. სპასკიმ კი ყაიმით დაამთავრა პარტია გ. პორტთან (ჩეხოსლოვაკია) და 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, რაც მესამე შედეგია. II ადგილზეა პორტი — 4,5 ქულა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა დაამარცხა ო. რომანიშინი, ხოლო სპასკისთან შეხვედრა ისევ გადადო.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის მ. ზარგარიანის სასპარტაკიადო ფოტოფანჯარა



ს უ რ ა თ ზ ე: წამიც და ო. ფხაკაძე (მარცხნივ) გადაკვეთს სპრინტერთა ასპარეზობის ნახევარფინალური სერიის ფინიშის ხაზს.



ს უ რ ა თ ზ ე: ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრებაში საქართველოს ტანმოვარჯიშე ვაჟებმა კარგად იასპარეზეს. ღერძზე ვარჯიშში გამარჯვებულთა დაჯილდოება. თქვენ ხედავთ (მარცხნიდან) საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარ მ. ვორონინსა (მოსკოვი) და საქართველოს სპორტსმენს მ. ბოგუსს, აგრეთვე, მესამე საფეხურზე შემდგარ ა. ნოზაძეს.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოსა და მოლდავეთის ხელბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი. მოლდაველთა კარს უტევს ო. ფხაკაძე.

შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „სქური" (წალენჯიხა) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

თამაში სტუმრების უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა გამარჯვება მათ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მოიპოვეს. ეს ერთადერთი გოლი მე-15 წუთზე შორიდან გაიტანა შავდიამ.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 4:0. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

გორელი ფეხბურთელები ბოლო ხანს წარმატებით თამაშობენ და ეს მატჩიც ძლიერად ჩაატარეს. ბურთები გაიტანეს ჩოჩიშვილმა, სუჯაშვილმა, რევაზიშვილმა და ბაქრაძემ.

უწესო საქციელისთვის მინდვრიდან გაძევებულია წულუკიძელი მ. ქვათელაძე, ხოლო გორელმა თ. ბაქრაძემ გაფრთხილება მიიღო.

● „გიგანტი" (ლაითური) — „ცისკარი" (სიღნაღი) 1:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „განთიადი" (ცხინვალი) 1:0. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

განთიადელები დიდი ანგარიშით დამარცხებას გადაარჩინა მეკარე ცხოვრებოვმა, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, მაგრამ 43-ე წუთზე მაინც გაუშვა გოლი ძაგანიას დარტყმის შემდეგ.

● „დინამო" (ზუგდიდი) — „სულორი" (ვანი) 2:0. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

შესვენებამდე სტუმრებმა კარგად ითამაშეს და ტერიტორიული უპირატესობაც ჰქონდათ. შემდეგ ინიციატივამ დინამოელთა მხარეს გადაინაცვლა: კიმულარიამ და დარასელიამ ორჯერ აიღეს „სულორის" კარი.

● „იხანი" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).

იხნელები პირველივე წუთებიდან დაეუფლნენ მინდორს. ანგარიში მე-14 წუთზე გახსნა გოცირიძემ და შემდეგ მანვე აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში. მეორე ტაიმის დასაწყისში განსხვავება ანგარიშში შემცირდა, მაგრამ თბილისელებმა კვლავ იმარჯვეს და კეჟერიშვილმა მესამედ აიღო მეტოქის კარი.

● ახკ (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 2:1. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

● „სინათლე" (თბილისი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 2:3. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

თამაშის დასაწყისში თბილისელებმა ზედიზედ 2 ბურთი მიიღეს აივაზოვისა და ჯაშისგან, ხოლო ტაიმის დასასრულს ძიძიგურმა გაქვითა 1 გოლი. როცა განახლდა თამაში შესვენების შემდეგ, ანგარიში გათანაბრდა — 2:2 (სიტკოვი), მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე კი ჯაშმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „სინათლის" კარში.

ორივე გუნდი ძალიან უხეშობდა. გაფრთხილება მიიღეს ჯ. აბაიშვილმა, გ. სიმონიშვილმა („სინათლე"), თ. ყურაშვილმა, ა. ხუციშვილმა („ვარკეთილი"). ჩხუბისთვის მინდვრიდან გააძევეს გარდაბნელი ვ. შაფაქიძე და თბილისელი ა. სიტკოვი.

● „სამცხე" (აწყური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:2. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

● „ალაზანი" (გურჯაანი) — „კახეთი" (თელავი) 2:2. მ. ნადიროვი (რუსთავი).

თელაველები ამ მატჩში გამოირჩეოდნენ თავშეუკავებელი, ხულიგნური საქციელით. მსაჯის შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გაძევებულია რ. სამნიაშვილი, ხოლო ი. რეხვიაშვილმა გაფრთხილება მიიღო.

● „ვარძია" (ასპინძა) — „მუქურა" (ქობულეთი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 3:2. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

II ჯგუფი
I ზონა

„მშენებელი" (წალკა) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) 1:4, „შევარდენი" (თბილისი) — „მერეთი" (ლაგოდეხი) 0:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 2:0, „მევენახე" (ბოლნისი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 1:1, „გარეჯი" (საგარეჯო) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 4:3, „მესხეთი" (ახალციხე) — „განთიადი" (ბორჯომი) 0:1.

II ზონა

„კოლმეურნე" (ქედა) — „კახაბერი" (ხელვაჩაური) 1:2, „ჩიხურა" (საჩხერე) — „განთიადი" (აბაშა) 1:1, „სალხინო" (მაიაკოვსკი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:0, „განახლება" (ადიგენი) — „მექანიკოსი" (სამტრედია) 2:1, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „კომეტა" (ფოთი) 3:0, „დინამო" (ქუთაისი) — „დინამო" (ოჩამჩირე) 2:0. ხობის „კოლხეთს" გამარჯვება ჩაეთვალა ჩოხატაურის „ბახმაროსთან".

ზონალური პირველობა
I ზონა

„არამაღნეული" (მარნეული) — „კაზრეთი" (ბოლნისი) 0:2, „ოლიმპი" (ავრანლო, წალკა) — „კლდეკარი" (მანგლისი) 1:2. ბოგდანოვკის „ფარვანას" გამარჯვება ჩაეთვალა დმანისის „რაიკავშირთან".

II ზონა

„არაგვი" (მცხეთა) — „მეცემენტე" (კასპი) 1:1, „ტიბაანი" (სიღნაღი) — „ჭანდარი" (გურჯაანი) 4:1, „ნაფარეული" (თელავი) — „წინანდალი" (თელავი) 3:2, „ქისტაური" (ახმეტა) — „განთიადი" (ქარელი) 1:1.

III ზონა

„მეხალიჩე" (ცხაკაია) — ჩაის საბჭოთა მეურნეობა (წალენჯიხა) 1:4, „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) — „ცხემლისხიდი" (მახარაძე) 5:1, „სპარტაკი" (სამტრედია) — „ფეიქარი" (კულაში, სამტრედია) 6:2.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

საქართველოს თასი



მ. ბოტვინიკი

(„64". 23 ივლისი. № 30)

სასწაული და სინამდვილე

თუმცა პეტროსიანისა და კორჩნოის ნახევარფინალური მატჩი ჯერ არ დამთავრებულა, უკვე შეიძლება ითქვას, რა ხდება. ამ დაუმთავრებელ მატჩში, ალბათ ერთადერთში, რომელშიც ათი (ან მეტი) პარტია გათამაშდება, მეტოქენი ერთმანეთის შესაფერი აღმოჩნდნენ. მაგრამ, მიუხედავად თანაბარი ძალისა, მე ვფიქრობ, რომ პეტროსიანმა (როგორც ჰიუბნერთან შეხვედრაში) მეტოქეს ბრძოლის თავისი მანერა მოახვია თავს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქტიურ თამაშში პეტროსიანი ისე ძლიერი აღარ არის, სხვა საქმეა, როცა იგი უსაფრთხოებისკენ მიისწრაფვის. როგორც „დამცველს", მას უწინ ბადალი არ ჰყავდა და ამ მხრივ ახლაც მოწოდების სიმაღლეზეა. იგი იშვიათად აგებს, მაგრამ ერთი წლის მანძილზე კორჩნოისთან მატჩამდე მხოლოდ ორი პარტია წააგო 61 შეხვედრაში! მატჩებში უსაფრთხოების პრობლემა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ტურნირებში. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ პეტროსიანი ამ მატჩში თავის ძლიერ მხარეებს იყენებს. რა თქმა უნდა, უკმაყოფილონიც არიან — 6 ყაიმი! მაგრამ შეცვალო თამაშის სტილი, როცა კაცი მეხუთე ათეულ წელს ითვლის, უიმედო საქმეა. ბრძოლის ბედი გადაწყდება პირველი სერიოზული შეცდომის დაშვებით. ეყოფა კი კორჩნოის გამძლეობა? ყოველ შემთხვევაში, პეტროსიანი აკეთებს იმას, რაც შეუძლია და, ალბათ, გამძლეობაც ეყოფა.

ფიშერ — ლარსენის მატჩი „სტანდარტული" შედეგით — 6:0 — დამთავრდა. სასწაულია? შეიძლება ავხსნათ, როგორ მოიგო ფიშერმა 12-დან ყველა პარტია, მაგრამ როგორ ავხსნათ ამ პარტიების შედეგი მთლიანად? რა თქმა უნდა, ყველაზე იოლია ფიშერი გამოვაცხადოთ ყველა საჭადრაკო დროის გენიად, მომხიბლავ ადამიანად, ხოტბა შევასხათ ჭადრაკისადმი მის სიყვარულს და სხვა. ეს შეიძლება გაკეთდეს და ბევრი კიდეც აკეთებს, მაგრამ სინამდვილეში?

ფიშერს ჭადრაკი უყვარს. ეს ახალი ამბავი როდია. უწინაც ყოფილან გამოჩენილი მოჭადრაკეები, რომელთაც ჭადრაკი უყვარდათ. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ფიშერს სხვა გამოსავალი არა აქვს, უნდა უყვარდეს ჭადრაკი. ეს მისი ერთადერთი (და, ჩემი აზრით, პატივსაცემი) სპეციალობაა. შეიძლება გავიხსენოთ, რომ ფიშერის წიგნი „60 პარტია" მისი ნაამბობის მიხედვით ევანსს დაუწერია. მაგრამ ჭადრაკისადმი სიყვარული ახალგაზრდა ამერიკელის უდავოდ დადებითი თვისებაა. როგორია მისი ადამიანური მომხიბვლელობა სხვა ურთიერთობებში?

მე მუდამ გავურბოდი ამაზე წერას, მინდოდა შემებრალებინა კოლეგა, — ეს იყო დრო, როცა ფიშერს უწუნებდნენ მოქალაქეობრივ თვისებებს. ახლა სხვა დრო დადგა და ჭეშმარიტების ინტერესებში უსიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მოგაგონოთ ფიშერის შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, ამერიკელის უპატივცემულობა თავისი ამხანაგების — ოსტატებისა და ორგანიზატორების მიმართ, მისი ჭირვეულობა, მედიდურობა და უპრინციპობა. შეიძლება მოვიტანოთ ფიშერის ადამიანობის ამ შეფასების დამადასტურებელი ბევრი მაგალითი. საჭირო კია? ვფიქრობ, რომ ეს არსებითი არ არის, არც ღირს ვნებათა გამძაფრება. სამწუხაროდ, უწინაც იყვნენ დიდი ოსტატები, რომლებიც თავის დიდ ტალანტს უხამებდნენ პატარა ადამიანის ღირსებებს. ფიშერი გამონაკლისი როდია.

როგორია ფიშერი მოჭადრაკე? რაშია მისი უჩვეულო ძალა? ჯერ კიდევ 9 წლის წინათ გამართულ ოლიმპიადაში, როცა ფიშერი 20 წლისაც არ იყო, მე მომიწია ამ ძალის შეგრძნება. მართალია, პარტიის აგება ორიგინალური არ იყო, გამოწვეული გართულებები გაურკვეველი გამოდგა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ბრძოლის წარმმართველი მე არ ვიყავი. ვარიანტების გამოანგარიშებაში მეტოქე მჯობდა და წასაგები პოზიციაც მივიღე. როცა დაფაზე ბევრია ფიგურა და ისინი მოძრავი არიან — ყველაფერს წყვეტს გამოანგარიშების უნარი. ეს თვისება ფიშერს უწინდელ ტალთან აკავშირებს. მაგრამ ფიშერი ამას უხამებს გარკვეულ სიფრთხილეს, მაღალ ტექნიკას, პოზიციის საღ შეფასებას — ეს კი მას ახალგაზრდა სმისლოვთან აახლოებს.

9 წლის მანძილზე ფიშერი გაიზარდა. მართალია, 1968-69 წლებში, როცა შეჯიბრებებში არ მონაწილეობდა, მან კრიზისი გადაიტანა. ფიშერი არ ამხელს, რა მოხდა მაშინ. „საუკუნის მატჩიდან" მან წინ ახალი ნაბიჯი გადადგა და დიდოსტატებს სისტემატურად ამარცხებს. მაგრამ ვის უგებდა უფრო დამაჯერებლად? ცხრა დიდოსტატის წინააღმდეგ, რომლებმაც 1970 წლის ხაზონათშორისო ტურნირში იმარჯვეს, მან ხუთჯერ მიაღწია წარმატებას, მათ შორის, ოთხ 44-49 წლის ასაკის მოჭადრაკესთან. ცნობილია, რომ ამ ასაკში ვარიანტების გაანგარიშების უნარი დაქვეითებულია. ხუთი მოჭადრაკის წინააღმდეგ, რომელნიც ახლა 22-37 წლის ასაკში არიან, ფიშერმა მხოლოდ ქულების 50 პროცენტი დააგროვა. სულ 9 დიდოსტატის წინააღმდეგ ფიშერმა 6,5 ქულა მოაგროვა — ბრწყინვალე შედეგია! საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ 9 დიდოსტატიდან 8 თავის დროზე პრეტენდენტი იყო, მეცხრე კი პოლუგაევსკია. მსგავსი შედეგები მხოლოდ გამოჩენილ ოსტატებს ჰქონდათ, როცა ისინი მსოფლიო პირველობისკენ მიილტვოდნენ ან უკვე ჩემპიონები იყვნენ.

და აი, ასეთი კლასის მოჭადრაკეების წინააღმდეგ ფიშერი აღწევს არა 72-პროცენტიან შედეგს, არამედ 100-პროცენტიანს, და ისიც არა ტურნირში, არამედ მატჩებში (რაც უფრო ძნელია). უწინ ამერიკელს ასეთი წარმატება არ ჰქონია. და არა მხოლოდ მას, ჭადრაკის ისტორიაშიც არ მომხდარა მსგავსი რამ. მაგალითად, 1907-10 წლებში ე. ლასკერმა მატჩებში ჭარბი უპირატესობით გაიმარჯვა მარშალთან და ორჯერ — იანოვსკისთან (+8—0=7, +7—1=2, +8—0=3), მაგრამ ეს მაინც არ არის 12:0! მაშ რა არის ეს — რობერტ ფიშერის შემდგომი წინსვლა მსოფლიო პირველობისკენ მიმავალ გზაზე, თუ სასწაული? თუ პირველი — უნდა გვიხაროდეს, ჭადრაკი უფრო გამდიდრდება; თუ მეორე, უნდა ვიფიქროთ: რას გააკეთებს ფიშერი, როცა სასწაული დასრულდება, როცა უგონობის მდგომარეობიდან იგი რეალობას დაუბრუნდება, როცა მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდება? დაძლევს ამ წინააღმდეგობას ამერიკელი, თუ ისეთივე კრიზისი ელის, როგორიც ორი წლის წინ გადაიტანა. ეს, უდავოდ, ჭადრაკისთვის დიდი ზარალი იქნება. ვნახოთ...

ალექსანდრიას ჰოლანდიაში ელიან

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურმა მატჩებმა — ნ. ალექსანდრია (სსრ კავშირი) — მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) და ა. კუშნირი — ტ. ზატულოვსკაია (სსრ კავშირი) — სტარტი 12 აგვისტოს უნდა აიღოს. პირველი ორთაბრძოლა ფიდე-ს პრეზიდენტის, დოქტორ მ. ეივეს მიწვევით ჰოლანდიაში გაიმართება, მეორე მინსკშია დანიშნული.

ჰოლანდია მოუთმენლად ელის სტუმრებს. გუშინ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ აცნობა ნ. ალექსანდრიასა და მის მწვრთნელს, დიდოსტატ ბ. გურგენიძეს, რომლებიც ფასანაურში ემზადებიან, რომ 5 აგვისტოს მოსკოვში უნდა იყვნენ, რათა ოთხი დღის შემდეგ ჰოლანდიას გაემგზავრონ. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, სახელდობრ რომელ ქალაქში შედგება ალექსანდრია — ლაზარევიჩის მატჩი.

შეამოწმეთ თქვენი ამოხსნა

„ლელოს" 17 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული რ. თავარიანის (თბილისი) შვიდსვლიანი ამოცანა ასე იხსნება: 1. მფg2! მba4 (ან 1. ... მca4) 2. მფf3 მb2 3. მფe3! მc4+ (3. ... მbd1+ 4. მფd2 მb2 5. მფ:c3; 3. ... მd5+ 4. მფd2 მf6 5. მფc2) 4. მფd4 მe5 5. მფ:e5 შამათით ორ სვლაში. შამათი ვერ მიიღწევა თამაში რომ ასე დავიწყოთ: 1. მფe1? (1. ... მd3+ 2. მფd2 მe5 3. მფ:c3 მf7!), 1. მფf2? (1. ... მd3+ 2. მფe3 მe5), 1. კf7? (1. ... მbd1 2. მფe1 მb2 3. მფd2 მc4+).

მალე: კორჩნოი — ლარსენის მატჩი

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის გათამაშების დებულებით, პრეტენდენტთა ფინალურ შეხვედრამდე (12 სექტემბერს დაიწყება პეტროსიან — ფიშერის მატჩი) უნდა შედგეს ნახევარფინალურ ორთაბრძოლებში დამარცხებულ მოჭადრაკეთა ვ. კორჩნოისა (სსრ კავშირი) და ბ. ლარსენის (დანია) მატჩი. ეს იქნება ბრძოლა III ადგილისთვის.

რატომ ტარდება ასე სასწრაფოდ კორჩნოი — ლარსენის შეხვედრა? საქმე ის არის, რომ ფინალური მატჩის ერთ-ერთმა მონაწილემ უარი რომ თქვას თამაშზე, მაშინ მის მაგიერ ფინალში უნდა ითამაშოს III ადგილისთვის ბრძოლაში გამარჯვებულმა მოჭადრაკემ.

კორჩნოი — ლარსენის მატჩში გათამაშდება 6 პარტია (შესაძლოა 8 ან 10 პარტიაც, თუ ამას მეტოქენი მოისურვებენ). ორთაბრძოლის ყაიმით (3:3) დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ოთხი პარტია. გაიმარჯვებს ის მოჭადრაკე, რომელიც პირველი მოიგებს პარტიას.

კორჩნოი — ლარსენის მატჩის გამართვის დროისა და ადგილის საკითხს ფიდე განიხილავს პეტროსიან — ფიშერის მატჩის ჩატარების ადგილზე მსჯელობისას.

სტატისტიკოსების ცნობით, დღემდე კორჩნოისა და ლარსენს 4 პარტია უთამაშიათ ერთმანეთში. 3 პარტია მოუგია კორჩნოის, 1 — ლარსენს.

„საქართველო-50“

ლენტეხი (დეპეშით). 26 ივლისს 5-ბ კატეგორიის ურთულესი გზით ცენტრალური შხარის მეორე და პირველ მწვერვალებზე, რომელთა სიმაღლე 5150-5200 მეტრებს შორის მერყეობს, ავიდა მთამსვლელთა ჯგუფი შ. მარგიანის ხელმძღვანელობით. ჯგუფში იყვნენ გ. წერედიანი, გ. გუგავა, შ. დადეშქელიანი, ა. რატიანი და ზ. მუშკუდიანი.

ჯგუფმა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების, მთამსვლელთა რესპუბლიკური ფედერაციისა და ალპინისტური ბანაკ „აილამის“ სახელით ეს გამარჯვება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს უძღვნა. ამიერიდან ცენტრალური შხარის მწვერვალი ახალი სახელწოდებით მოგვევლინება — „საქართველო-50“.

ს. გვალია,

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრი, „ლელოს“ საზოგადოებრივი კორესპონდენტი.

სამშობლოს საკეთილდღეოდ

ემილ ზატოპეკის ინტერვიუ

გაზეთმა „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა რედაქციის მუშაკების ზ. გორჟენისა და ვ. შვადლენის საუბარი ცნობილ ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენთან ე. ზატოპეკთან. როგორც შესავალშია აღნიშნული, წერილის საბაბი გახდა ამას წინათ გაზეთ „დეილი მეილში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ ტელეფონით. ამ ინტერვიუს ავტორი ამტკიცებდა, რომ მისი საუბარი ზატოპეკთან უაღრესად „ნაღვლიანი“ იყო.

„რუდე პრავოს“ მუშაკთა შეკითხვებზე ე. ზატოპეკმა თქვა, რომ მას ხშირად ურეკავენ უცხოეთიდან, დაინტერესებული არიან მისი ცხოვრებით, ხშირად ეკითხებიან, მართლა უბედური ხართ თუ არაო?

— მე მინდა ყველამ იცოდეს, — თქვა ზატოპეკმა, — რომ არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია თავი უბედურ ადამიანად. დასავლეთში წერდნენ, თითქოს პრაღაში ქუჩებს ვგვიდე. ეს, რასაკვირველია, სიცრუეა, თუმცა მე ამ საქმეში სამარცხვინოს ვერაფერს ვხედავ.

ზატოპეკმა უარყო დასავლეთის პრესის მონაჭორი, თითქოს მას სამხედრო წოდება ჩამოართვეს.

— მე ახლა პოლკოვნიკი გახლავართ, თადარიგში ვარ და საკმაო პენსიასაც ვიღებ — 1160 კრონს. მას შემდეგ, რაც მუშაობა დავიწყე, პენსია, რასაკვირველია, შემიმცირდა.

სპორტსმენი ამბობს, რომ ახლა იგი სამშენებლო გეოლოგიის დარგში მუშაობს, კმაყოფილია თავისი საქმის, ხელფასის, პრაღის გარეუბანში სახლსაც იშენებს.

„დეილი მეილი“ ამტკიცებს, თითქოს ზატოპეკი „რეჟიმის ერთ-ერთი შეურიგებელი მოწინააღმდეგეა“. ამის თაობაზე სპორტსმენმა თქვა:

— მე სამარცხვინოდ მიმაჩნია სოციალისტური წყობილების მტრების რიგებში ჩადგომა. სოციალიზმისადმი პრეტენზიები არასოდეს მქონია. ბუნებრივია, ზოგჯერ ვიყავი უკმაყოფილო ზოგიერთის შეცდომების გამო. ახლა მესმის ისიც, რომ შეიძლება ეს უკმაყოფილება ადამიანის შეგნებაზე ზემოქმედების მიზნით გაჩაღებული ძირგამომთხრელი მუშაობის შედეგიც იყო.

შეკითხვაზე, რატომ მოაწერა ხელი ცნობილ დოკუმენტს „2000 სიტყვა“, ზატოპეკმა თქვა:

— მე ჯერ კიდევ მაშინ მეეჭვებოდა ამ საბუთის დებულების სისწორე, როცა იგი ხელმოსაწერად მომიტანეს. მაგრამ მაშინ ჩემზე ბევრი გამოჩენილი ადამიანის ავტორიტეტმაც იქონია გავლენა.

— ძალიან ვნანობ, — თქვა ზატოპეკმა, — რომ აღმოვჩნდი მათს რიცხვში, ვინც ცეცხლზე ნავთს ასხამდა. ამ ცეცხლით შეიძლებოდა გაჩაღებულიყო დიდი ხანძარი, რომელიც ჩვენს სოციალისტურ სამყაროს ემუქრებოდა. მე არც მაშინ ვფიქრობდი, სწორად ვიქცევი-მეთქი, როცა საბუთს ხელი მოვაწერე. ახლა კი მიმაჩნია, რომ „2000 სიტყვის“ იდეების განხორციელება ნიშნავდა კატასტროფას, სოციალიზმისა და სოციალისტური სისტემის კრახს.

ზატოპეკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირადად მას არასოდეს განუცდია დევნა რწმენის გამო. მას არ ესმის, რატომ მიაკუთვნეს „რეჟიმის მთავარ მოწინააღმდეგეთა“ რიცხვს.

— ჩემი პირადი თავისუფლების ხელყოფა და ადამიანებთან ჩემი კავშირის შეზღუდვა არასოდეს უცდია ვინმეს. მე მუდამ ხალხში ვტრიალებდი და დღესაც მათს შორის ვარ, — ამბობს სპორტსმენი.

როცა შემდგომ გეგმებზე ჩამოუგდეს სიტყვა, ზატოპეკმა თქვა, რომ დღემდე იგი მხოლოდ სპორტსმენი იყო. ამიტომ ვალდებულად მიაჩნია თავი სამშობლოს წინაშე, რომელმაც ყველა პირობა შეუქმნა სპორტში მეცადინეობისთვის, მოგზაურობისთვის... ახლა მას სურს თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ იშრომოს და ასე გადაუხადოს მადლობა მას ყველა სიკეთისთვის.

— აი, სწორედ ეს არის ჩემი სამერმისო გეგმები, — თქვა ზატოპეკმა.

ჟურნალისტებმა ჰკითხეს სპორტსმენს, ხომ არ გეშინიათ, რომ ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ თავს დაგესხმიან ისინი, ვისაც დღემდე რეჟიმის მოწინააღმდეგედ მიაჩნიხართო?

— არა, არ მეშინია, — უპასუხა ზატოპეკმა. — სჯობს ჩვენს შორის ყველაფერი გაირკვეს.

ზატოპეკთან საუბრის მეორე დღეს წერს გაზეთი, — რედაქციამ მიიღო სპორტსმენის წერილი, რომელშიც ის თითქმის ისევ აგრძელებს დაწყებულ საუბარს. იგი იგონებს, რომ მექსიკიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც საუცხოო პირობები იყო შექმნილი, ჟურნალისტები ტელეფონით ხშირად ეკითხებოდნენ, ხომ არ ნანობთ, ჩეხოსლოვაკიაში რომ დაბრუნდითო. ზატოპეკი მაშინ ამბობდა, მირჩევნია სამშობლოში ერთ ნატეხ ხმელ პურზე გადავიარო, ვიდრე უცხოეთში ფუფუნებაში ვიცხოვროო.

— ესე იგი, ახლა ერთ ნატეხ ხმელ პურზე ხართ? — ეკითხებოდნენ ჟურნალისტები.

— არა, რასაკვირველია, — მიუგებდა სპორტსმენი, — მაგრამ ასეც რომ იყოს, მაინც ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრებას ვამჯობინებ.

დასასრულს ზატოპეკმა ბევრი საყვედური გამოთქვა დასავლური პროპაგანდის მისამართით, რომელსაც სურდა სპორტსმენის სახელი და პოპულარობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

საუბრის დასასრულს „რუდე პრავოს“ კორესპონდენტები ზ. გორჟენი და ვ. შვადლენა წერენ, რომ ზატოპეკის ინტერვიუ „დეილი მეილისთვის“ მართლაც ნაღვლიანი გამოდგა.

პრაღა. (საკდესი).

დაბრუნება

საუბარი ტანვარჯიშულ ფიცარნაგთან

ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე მას „მეხიკოს პატარძალს“ ეძახდნენ. სომბრეროებში გამოწყობილი ვარსკვლავივით ბიჭები სერენადებს უმღეროდნენ. მაგრამ ოლიმპიადის ფინალი უიღბლო გამოდგა...

— მას შემდეგ ორი წელი გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა პირველ ყოვლისა ჩემი დამოკიდებულება ტანვარჯიშისადმი. ახლა ეს მარტო მედლები და საპატიო, მაღალი წოდებები როდია, შემოქმედებითი „მეს“ გამოხატვის ოპტიმალური ვარიანტების ძიებაც გახლავთ...

ნატაშა კუჩინსკაია სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ხარიბელზე არ გამოსულა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეებში მოიპოვა ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება — დიდ სპორტს დაუბრუნდა.

— ცხადად მაქვს წარმოდგენილი, რა სიძნელეები მელის. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოხდა, რაც მივხვდი, რომ ვერ ვიცოცხლებ ტანვარჯიშის, მოძრაობის გარეშე, არავითარი სირთულისა აღარ მეშინია, ასეა. თუმცა ძველი ფიცარნაგის ხელახლა გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ სპორტული ცხოვრებაც თავიდან, ხელახლა უნდა დავიწყო. დიდ ტანვარჯიშულ ოჯახში ყველაფერი შეიცვალა. ახალგაზრდები უკარნახებენ ტექნიკურ მოდებს. ქალთა ტანვარჯიში ფანტასტიკური ტემპებით ისწრაფვის სირთულისკენ. და ძნელი წარმოსადგენია საზღვარი, რომელიც „ულტრა-სის“ გვირგვინი იქნება.

ყველა ტანვარჯიშული გენიიდან, დღეს მთელს სპორტულ სამყაროს პირზე რომ აკერია, მე უპირატესობას ნინა დრონოვას ვანიჭებ. მისთვის ტანვარჯიში საინტერესო, სახალისო თამაშია. ამავე დროს, იგი შემოქმედების უდიდეს საიდუმლოს ფლობს.

დამთავრდა ქალთა ნებისმიერი პროგრამის ფინალები. ლაზაკოვიჩი ათვალიერებდა საკავშირო ტურნირში გამარჯვებით მოპოვებულ თავის პირველ ოქროს მედალს და ბედნიერი იცინოდა.

— რას არ მივცემდი, ოღონდ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მომღიმარი პეტრიკი დამენახა, რას არ მივცემდი, — ამბობდა ნატაშა. — მაგრამ ვშიშობ, რომ ეს უკვე აღარასოდეს მოხდება. არა იმიტომ, რომ ლარისა კლასით ჩამოუვარდება ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებს. არა, მისი ტექნიკა, ისევე როგორც გამოცდილება, უნიკალურია. მაგრამ ლარისასთვის უკვე აღარ არსებობს ის, რაც მთავარია ტანვარჯიშში — აღმოჩენის სიხარული. მე ამას ძალიან მწარედ განვიცდი. ჩვენ თითქმის ათი წელია მეგობრები ვართ.

გამოდის, რომ ბედმა ყველაზე მეტად ოლია კარასიოვას გაუღიმა. იგი საკმაო ხანია ნაკრებშია. ოლიას წარმატება რაღაც თანდათანობითი იყო. იგი ასწრებდა ტანვარჯიშის ყოველი პერიოდიდან შეეთვისებინა დამახასიათებელი, განმსაზღვრელი თვისებები. და ის, რომ სპარტაკიადაში კარასიოვა ბოლოსწინა იარაღამდე ლიდერობდა, მზადების ასეთი „არაფორსირებული“ სისტემის სისწორეს ადასტურებს.

სხვათა შორის, ალმავლობის შემდეგ წარუმატებლობის კანონზომიერება მტკიცდება ტურიშჩევას მაგალითითაც, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების მერე უეცრად „დამუხრუჭების“ პერიოდი დაუდგა.

და მაშინვე, უპაუზოდ:

— იძულებული გავხდი ლენინგრადი დამეტოვებინა. უკრაინელმა მწვრთნელმა სმირნოვმა გამიგო, მხარი დამიჭირა. ახლა მე მასთან ვმეცადინეობ კიევში. თითქოს ხელახლა დავიბადე. მაგრამ ხანდახან ძალიან მენატრება ჩემი ქალაქი: წვიმა, ნევის პროსპექტი, მოიკა. ავიღებ თვითმფრინავის ბილეთს და ლენინგრადისკენ გავწევ, ვიჯერებ გულს მის სწორ, გულისტკივილამდე ნაცნობ ქუჩებში ხეტიალით, საღამოს კი ისევ კიევში ვბრუნდები. მწვრთნელი არ მიჯავრდება, საყვედურს არ მეუბნება ასეთი „ბავშვური საქციელისთვის“. მას ესმის, რომ წარსულის დავიწყება, თუნდაც ეს წარსული „მხოლოდ ქალაქი“ იყოს, არ შეიძლება.

მე მიყვარს ზღვა. ღელვა, ფერთა აბობოქრება, წყლის თხილამურები, სისწრაფე. მიყვარს მყვინთავის კოსტიუმით წყალქვეშ სრიალი. იქ სულ სხვა სამყაროა.

ტყეში კი მარტოობაა, იდუმალება. სილამაზე იქ უხმოდ უნდა შეიგრძნო. სილამაზე თავისი ბუნებით სკულპტურულია, სახეა მე სწორედ ასეთი გამომსახველობისკენ ვისწრაფვი ტანვარჯიშში. უფაქიზესი ნიუანსები. მისაწვდომობა. მრავალფეროვნება და შესაბამისობა ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია არა მხოლოდ ტანვარჯიშში, არამედ სასიცოცხლო თვალსაზრისითაც. ამჟამად ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობ. მანამდე მოვიარე ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, მერე ფიზკულტურის ინსტიტუტი, მერე თეატრალური ინსტიტუტი და ყველგან გამოვცადე შეუსაბამობა. თურმე ცხოვრებაში გაცილებით უფრო ძნელი ყოფილა „შენი“ ადგილის მონახვა, ვიდრე ტანვარჯიშში.

ისევ ჩაფიქრდა.

— უნდა ვიჩქარო გაცდენილი დროის ანაზღაურება. ყველაფრის შეცნობა შეუძლებელია. მაშ იმას მაინც უნდა დაეუფლო, რისი დაუფლებაც შეიძლება.

და უცებ, სრულიად განყენებულად, კატეგორიულად:

— მაგრამ მე დავბრუნდი და მეორედ ფეხი არ დამიცდება.

და ისევ, თითქოს თავის თავს უმტკიცებსო:

— დავბრუნდი.

ვ. ანისიმოვი.

(„სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“. № 173 (633).

ლ. გ. აკოფოვი

გარდაიცვალა საქართველოს რეგბის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1926 წლიდან ლევან გერასიმეს ძე აკოფოვი.

ლ. აკოფოვი დაიბადა 1904 წელს თბილისში. იგი ახალგაზრდობიდან ჩაბმული იყო კომკავშირულ მუშაობაში, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისთვის ბრძოლაში, ხელმძღვანელობდა თბილისის ავტოკლუბს.

1956 წლიდან ლ. აკოფოვი სამეურნეო სამუშაოზეა—თბილისის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ ინიშნება, მაგრამ მაინც აქტიურად მონაწილეობს სპორტულ საქმიანობაში. იგი იყო თბილისის რეგბის ფედერაციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, შემდეგ კი აირჩიეს რესპუბლიკის რეგბის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ. აკოფოვმა ბევრი რამ გააკეთა საქართველოში რეგბის განვითარებისთვის.

ძველი კომუნისტი ლ. აკოფოვი შესანიშნავი, გულისხმიერი ადამიანი იყო.

საქართველოს რეგბის ფედერაცია.

[illegible] … 19^{45}

◆ ამსტერდამი, 28 ივლისი. „იბმ“-ის ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე 3 ტური დარჩა. ლიდერობა კვლავ იგდო ხელთ მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვ. სმისლოვმა. მოსკოველმა დიდოსტატმა XII ტურში მოუგო ჰოლანდიელ ლანგევეგს და 8,5 ქულა აქვს. ესტონელი პ. კერესი ევანსს (აშშ) დაუზავდა. სმისლოვს ნახევარი ქულით ჩამორჩება ავსტრალიელი ბრაუნი. შემდეგ არიან: პორტიში (უნგრეთი) — 7,5, კერესი, რეე (ჰოლანდია), გლიგორიჩი, ივკოვი (იუგოსლავია), ქარტონი (გფრ) — 6,5-6,5.

ქალმა გადალახა... ატლანტის ოკეანე

ლონდონი, 27 ივლისი. 28 წლის ინგლისელი ნიკოლეტა მილნს-უოკერი გახდა ისტორიაში პირველი ქალი, რომელმაც მარტოდმარტომ გადალახა ატლანტის ოკეანე.

მილნს-უოკერმა — პროფესიით ფსიქოლოგმა — პატარა იალქნიანი ნავით 3.500 მილი გაიარა 45 დღეში.

ნიუპორტში (აშშ) ჩასვლის შემდეგ მან განაცხადა, რომ გზაში ჰქონდა „მხოლოდ პატარა დაბრკოლება, კერძოდ, რამდენიმე ვეშაპთან შეხვედრა“, და რომ ინგლისში დაბრუნდება „ყველაზე დიდი გემით“.

რედაქტორი მ. ქაკაბაძე.

საქართველოს სასტენდო სროლის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **კაპიტონ ირაკლის ძე ლორია.** დაკრძალვა ქუთაისში 31 ივლისს, 18 ს. გამოსვენება ბინიდან—გოგებაშვილის ქ. № 10.

ახალი ამბები-71

● ტალინი, 27 ივლისი. ასუჯრიან შაშში სსრ კავშირისა და ჰოლანდიის აქ გამართული ტრადიციული საერთაშორისო მატჩი საბჭოთა მოშაშეების გამარჯვებით დამთავრდა — 14,5:8,5.

● კალგარი, 27 ივლისი. კანადის ამ ქალაქში წარმატებით იასპარეზა იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა: მან სამ-სამჯერ დაამარცხა აშშ-სა და კანადის ეროვნული გუნდები, თანაც მხოლოდ ერთი პარტია წააგო. თავის მხრივ, ამერიკის კოლექტივმა სამჯერ სძლია ტურნირის მასპინძლებს.

● ათენი, 27 ივლისი. აქ მიმდინარეობს ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი. 2 ტურის შემდეგ თავის ქვეჯგუფში 2 ქულით ლიდერობს ერევნელი რ. ვაგანიანი, რომელმაც ავსტრალიელი და შვედი თანატოლები დაამარცხა. ჩემპიონატში, რომელშიც არა უმეტეს 20 წლის ვაჟები მონაწილეობენ, 43 ქვეყნის წარმომადგენლები თამაშობენ. ისინი ექვს ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. ყოველი ქვეჯგუფიდან ორი საუკეთესო ფინალურ ეტაპზე გამოვა.

● ლე ტუკე, 27 ივლისი. ლა-მანშის სანაპიროზე მდებარე საფრანგეთის ამ ქალაქში გათამაშდა ა. სუაბოს სახელობის თასი — 20 წელზე ნაკლები ასაკის ჩოგბურთელ ქალიშვილთა არაოფიციალური ევროპული გუნდური პირველობა. პრიზი ერგოთ ფრანგებს, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს სძლიეს — 2:1. საბჭოთა გუნდმა (ზ. იანსონე, მ. კროშინა და ე. გრანატუროვა) წააგო ჩეხოსლოვაკიელებთან (1:2), მერე კი III ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხა შვეციის ნაკრები — 3:0.

● ვარშავა, 27 ივლისი. პოლონეთის დედაქალაქის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გარდამავალი თასი ამ ქვეყნის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მოიპოვა. II ადგილზე გავიდნენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები — ბულგარელები. III ადგილზეა რუმინეთის გუნდი, IV — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 02991